საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-388

2024 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 95-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული:

ა) სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმა – დანართი №1;

ბ) სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმა – დანართი №2.

2. სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების, ოფიციალური შეხვედრებისა და ვიზიტების დროს უნდა ეცვას შესაბამისი სპეციალური სამსახურებრივი ტანსაცმელი – ფორმა.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**